საქართველოს კანონი

ტურიზმის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას, ტურისტული საქმიანობის სუბიექტებსა და მიმართულებებს, აწესრიგებს ტურისტულ საქმიანობას, განსაზღვრავს ტურისტის, როგორც მომხმარებლის უფლებებისა და გარანტიებს და ტურისტული მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობებს, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციებსა და მოვალეობებს, ტურიზმის სფეროში კერძო და საჯარო თანამშრომლობის მექანიზმებს, ტურისტის უსაფრთხოებასთან და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. საქართველოს კანონიმდებლობა ტურიზმის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კანონისა და სხვა სამაღთელბრივი აქტებისაგან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აგროტურიზმი - ფერმერულ მეურნეობაში განხორციელებული ტურისტული საქმიანობა, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ აქტივობას.

ბ) ალპური გამყოლი - სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც უძღვება ტურისტს/ტურისტთა ჯგუფს ნებისმიერი სახის, ნებისმიერი სირთულის მთის რელიეფზე, მათ შორის, ალპინიზმისა და მთასვლელთა საერთაშორისო ასოციაციის (UIAA) კლასიფიკაციით ნებისმიერი კატეგორიის კლდოვან და კომბინირებულ ალპინისტურ მარშუტებზე, და ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, მხოლოდ იმ სეზონზე, რომელიც არ საჭიროებს სათხილამურო აღჭურვილობისა და სამთო თხილამურებზე სრიალის ტექნიკის გამოყენებას.

გ) განთავსების საშუალება - ტურისტული მომსახურების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც განკუთვნილია ტურისტისათვის არანაკლებ ერთი ღამის გასათევად.

დ) გამყვანი ტურიზმი - ტურისტი-რეზიდენტების მოგზაურობა უცხოეთის ქვეყნებში (საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ).

ე) ტურისტული მომსახურების რეალიზაციის პუნქტი - ტურისტული პაკეტისა და კომბინირებული ტურისტული მომსახურების რეალიზაციისთვის განკუთვნილი ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ქონება, ვებ-გვერდი, ან მსგავსი ონლაინ გაყიდვების საშუალებები, ასევე, სატელეფონო მომსახურება; თუ ვებგვერდები ან ონლაინ გაყიდვების საშუალებები წარმოდგენილია როგორც ერთიანი პლატფორმა, იგი წამოადგენს გაყიდვის ერთიან პუნქტს.

ვ) დროის განაწილება - უძრავი ქონებით ერთობლივი სარგებლობა დასვენების მიზნით. დროის განაწილების შეთანხმების თანახმად, რამდენიმე ერთობლივ მფლობელს აქვს უფლება გამოიყენოს ქონება, როგორც დასასვენებელი განთავსების საშუალება დროის განაწილების წინასწარ განსაზღვრული სქემით.

ზ) ექსკურსია - მოგზაურობა გამყოლის ან ტურისტული გიდის ხელმძღვანელობით, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით და ადგილზე/ებზე. მისი ხანგრძლივობა, ჩვეულებისამებრ, არ აჭარბებს 24 სთ-ს.

თ) ვიზიტორი - ტურიზმით დაკავებულ მოგზაურთა ყველა ტიპი. ტურიზმის სტატისტიკისათვის ტერმინი "ვიზიტორი" ასახავს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გადაადგილდება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან სამოგზაუროდ და მოგზაურობის ხანგრძლივობის მიხედვით იყოფა ტურისტად და ექსკურსანტად.

თ.ა) **ტურისტი** - ვიზიტორი, პირი, რომელიც მოგზაურობს გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, საქმიანი, სპორტული, რელიგიური ან სხვა მიზნებით 24 საათიდან ერთ წლამდე ვადით და რომელიც დროებითი გადაადგილების ტერიტორიის ფინანსური წყაროებიდან არ იღებს ეკონომიკურ შემოსავალს.

თ.ა.ა) ამ კანონის V თავის მიზნებისთვის, ტურისტი არის პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება ან, რომელსაც აქვს უფლება, იმოგზაუროს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თ.ბ) **ერთდღიანი ვიზიტორი (ექსკურსიონისტი**) - ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა არ მოიცავს ღამისთევას.

ი) ინკლუზიური ტურიზმი - ტურიზმის მიმართულება, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეებს შორის უნივერსალური დიზაინის გამოყენებით არსებით თანასწორობაზე დაფუძვნებული თანამშრომლობის პროცესს. მოიცავს მობილობის, სმენის, მხედველობის და მისაწვდომობის კოგნიტურ შემადგენელს, ფუნქციონალურად დამოუკიდებელი და თანასწორი მისაწვდომი ტურისტული პროდუქტების, სერვისებისა და ფიზიკური გარემოს მიწოდების გზით.

კ) კურორტი - საკურორტო ადგილი, რომელზეც განთავსებულია საკურორტო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

ლ) უნივერსალური დიზაინი – პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამისა და მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მათზე სპეციალური ადაპტირებისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების გარეშე წვდომის საშუალებას. უნივერსალური დიზაინი არ გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვაგვარი ხელშეწყობის გამოყენებას.

მ) კომბინირებული ტურისტული მომსახურება - არანაკლებ ორი სხვადასხვა ტიპის ტურისტული მომსახურება, რომლებიც შეძენილია ერთი და იმავე მოგზაურობის ფარგლებში და არ შეადგენს პაკეტს და ხდება ცალკე ხელშეკრულებების დადება ტურისტული მომსახურების ინდივიდუალურ მიმწოდებლებთან, თუ მოვაჭრე უზრუნველყოფს:

მ.ა) ტურისტის ერთ ვიზიტს ან კავშირს ტურისტული მომსახურების ერთიანი რეალიზაციის პუნქტთან, ტურისტის მიერ თითოეული მომსახურების ცალ-ცალკე შერჩევას და საფასურის ცალ-ცალკე გადახდას ან:

მ.ბ) მიზანმიმართულად, სხვა მოვაჭრისგან მინიმუმ ერთი დამატებითი ტურისტული მომსახურების შეძენას, როდესაც ხელშეკრულება ამგვარ სხვა მოვაჭრესთან დადებულია პირველი ტურისტული მომსახურების ჯავშნის დადასტურებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში.

მ.გ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეძენილია არაუმეტეს ამ მუხლის „ყ.ა“ ქვეპუნქტის „ყ.ა.ა“, „ყ.ა.ბ“ ან „ყ.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთი სახის ტურისტული მომსახურება და „ყ.ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთი ან მეტი ტურისტული მომსახურება, ისინი არ წარმოადგენს კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებას, თუ ეს უკანასკნელი მომსახურებები არ შეადგენს ტურისტული მომსახურების საერთო ღირებულების მინიმუმ 25%-ს და არ არის რეკლამირებული როგორც მოგზაურობის ან დასვენების არსებითი ელემენტი და სხვაგვარად არ წარმოადგენს მოგზაურობის ან დასვენების არსებით ელემენტს.

ნ) მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურება - მოგზაურობა ან/და ფიზიკური აქტივობა, რომელიც ხორციელდება მიწაზე, წყალსა და ჰაერში, სხვადასხვა რელიეფისა და კლიმატური ზონის, უჩვეულო, ეგზოტიკურ, მოშორებულ, დაუსახლებელ (მიუვალ) ადგილას ან სპეციალურად მოწყობილ და აღჭურვილ არეალში, რომელიც შეიცავს მომხმარებელთა დაზიანებისა და ტურისტული აქტივობიდან გამომდინარე სხვა საფრთხეებს.

ო) მოვაჭრე - პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას და ამ კანონის მოწესრიგებულ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც ტუროპერატორი, ტურაგენტი, კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი.

პ) სათხილამურო გამყოლი - სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც უძღვება თხილამურით ან/და სნოუბორდით ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი

სირთულის გაუკვალავ თოვლში ასვლას და დაშვებას მარშრუტზე, ასევე, თხილამურებით სრიალის ტურებს ვერტმფრენის გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

ჟ) საკურორტო ადგილი – ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ რესურსებს, ვარგისია მიზნობრივი გამოყენებისთვის და არ გააჩნია საკურორტო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

რ) საკურორტო საქმიანობა – ბუნებრივი სამკურნალო/გამაჯანსაღებელი რესურსების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყენების ორგანიზება, პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მიზნით.

ს) საკურორტო საქმიანობის სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ეწევა საკურორტო საქმიანობას.

ტ) სამთო გამყოლი - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, მთებში ფეხით გადაადგილებულ ტურისტთა მეგზური, რომელიც მომსახურებას ახორციელებს საქართველოს მთიანი ადგილების მასშტაბით და სამთო ტურის განხორციელებას უზრუნველყოფს მონაწილეთა უსაფრთხოების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტის სრული დაცვით.

უ) საფეხმავლო გამყოლი - ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მეწარმე), რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფეხმავლო გამყოლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ეწევა ტურისტთა მომსახურებას საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული მომსახურება არ მოიცავს ამ მუხლის „პ“- „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებებს.

ფ) რეპატრიაცია - ტურისტის დაბრუნება გამგზავრების ადგილას ან ნებისმიერ ადგილას, რომლის თაობაზეც ტურისტული პაკეტის ან/და კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდებიან.

ქ) რელიგიური ტურიზმი - მოგზაურობა რელიგიური მიზნებით, წმინდა ადგილების მონახულება, მომლოცველობა.

ღ) ტურისტული გიდი - ფიზიკური პირი, რომელიც დაკავებულია ტურისტთა უშუალო მომსახურებით, კერძოდ, ტურის წინასწარ დაგეგმილი ან პროგრამის, მარშრუტისა და დროში გაწერილი მოქმედებების გეგმის თანახმად უზრუნველყოფს ტურის შინაარსობრივად, ტექნიკურად და ლოგისტიკურად წარმართვას.

ყ) ტურისტული მომსახურება - ტურისტული საქმიანობის სუბიექტების მიერ მოგზაურობის დროს ტურისტთა მოთხოვნიების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მომსახურება.

ტურისტული მომსახურება ხორციელდება ტურისტთა მიერ ჯგუფური ან ინდივიდუალური, აგრეთვე ორგანიზებული მოგზაურობისას.

ყ.ა) ტურისტული პაკეტის და კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიზნებისათვის ტურისტული მომსახურებებია:

ყ.ა.ა) ტურისტის ტრანსპორტირება;

ყ.ა.ბ) განთავსების მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს ტურისტის ტრანსპორტირების შემადგენელ ნაწილს და არ არის განკუთვნილი საცხოვრებელი მიზნებისთვის;

ყ.ა.გ) ავტომობილის, სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების (არანაკლებ 25 კმ/სთ სიჩქარის, ან მოტოციკლის, რომელიც მოითხოვს A კატეგორიის მართვის მოწმობას) გაქირავება;

ყ.ა.დ) ნებისმიერი სხვა ტურისტული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს „ყ.ა.ა“, „ყ.ა.ბ“ და „ყ.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ტურისტული მომსახურების ნაწილს.

შ) ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) - პირი რომელიც ყიდის ან გასაყიდად სთავაზობს როგორც ტუროპერატორის მიერ შექმნილ ტურისტულ პაკეტს, ასევე, ცალკეულ ტურისტულ მომსახურებას.

ჩ) ტურიზმი - ადამიანთა თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ დასვენების, გაჯანსაღების, კულტურული და შემეცნებითი ინტერესის, პირადი, საქმიანი და/ან პროფესიული მიზნით, რომელიც არ არის დაკავშირებული დანიშნულების ადგილზე ანაზღაურებად საქმიანობასთან.

ც) ტუროპერატორი - პირი, რომელიც ქმნის და ყიდის (ან სთავაზობს გასაყიდად) ტურისტულ პაკეტს თვითონ ან ტურაგენტის მეშვეობით ან ტურაგენტთან ერთად, ან რომელიც აწვდის ტურისტის მონაცემებს ტურისტული მომსახურების სხვა მიმწოდებელს ამ მუხლის „მ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ძ) ტურისტული პაკეტი (შემდგომში – პაკეტი), ტურისტული პროდუქტი - ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა სახის ტურისტული მომსახურების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია ერთი მოგზურობისთვის, თუ:

ძ.ა) მომსახურებები გაერთიანებულია ერთი მოვაჭრის მიერ, მათ შორის, ტურისტის მოთხოვნით ან მისი შერჩევით, ყველა მომსახურებისთვის ერთი ხელშეკრულების გაფორმებამდე; ან

ძ.ბ) მიუხედავად იმისა, დადებულია თუ არა ცალ-ცალკე ხელშეკრულებები ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებთან, ეს მომსახურებები:

ძ.ბ.ა) შეძენილია გაყიდვის ერთ პუნქტში და მომსახურებების შერჩევა ხდება, ვიდრე ტურისტი განაცხადებს თანხმობას თანხის გადახდაზე;

ძ.ბ.ბ) შეთავაზებულია, იყიდება ან ანგარიშსწორება ხდება ჯამური ღირებულების სანაცვლოდ;

ძ.ბ.გ) რეკლამირებულია ან იყიდება „პაკეტის“ ან მსგავსი ტერმინის გამოყენებით;

ძ.ბ.დ) გაერთიანებულია იმ ხელშეკრულების დადების შემდგომ, რომლის საფუძველზეც მოვაჭრე უფლებამოსილებას ანიჭებს ტურისტს, სხვადასხვა სახის ტურისტულ მომსახურებებს შორის გააკეთოს არჩევანი; ან

ძ.ბ.ე) შეძენილია სხვადასხვა მოვაჭრისაგან ერთმანეთთან დაკავშირებული ონლაინ დაჯავშნის პროცედურით, თუ მოვაჭრე, რომელთანაც პირველი ხელშეკრულებაა დადებული, სხვა მოვაჭრეს/მოვაჭრეებს გადასცემს ტურისტის სახელს, გადახდის დეტალებს და ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამ უკანასკნელ მოვაჭრესთან/მოვაჭრეებთან იდება ხელშეკრულება პირველი ტურისტული მომსახურების დაჯავშნის დადასტურებიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

გარდა იმ შემთხვევებისა:

ძ.გ) თუ ამ მუხლის „ყ.ა.ა“, „ყ.ა.ბ“ და „ყ.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებებიდან არაუმეტეს ერთი მომსახურებისა გაერთიანებულია ამავე მუხლის „ყ.ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ტურისტულ მომსახურებასთან, არ წარმოადგენს პაკეტს, თუ ეს უკანასკნელი ტურისტული მომსახურება/მომსახურებები;

ძ.გ.ა) არ შეადგენს/შეადგენენ ტურისტული მომსახურებების ჯამური ღირებულების მინიმუმ 25%-ს და არ არის რეკლამირებული და არც სხვა მხრივ წარმოადგენს ტურისტული მომსახურებების ერთობლიობის არსებით ნაწილს; ან

ძ.გ.ბ) არჩეული და შეძენილია მას შემდეგ, რაც ამ მუხლის „ყ.ა.ა“ „ყ.ბ.ა“ ან „ყ.გ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტურისტული მომსახურების შესრულება დაწყებულია.

წ) ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება - პაკეტის შესახებ ერთიანი ხელშეკრულება; ან თუ პაკეტი წარმოდგენილია ცალ-ცალკე ტურისტული მომსახურებების ხელშეკრულებებით, ამ ხელშეკრულებების ერთობლიობა;

ჭ) პაკეტის დაწყება - პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებების დაწყება;

ხ) ღვინის ტურიზმი - ტურიზმის მიმართულება, რომლის დროსაც მოგზაურობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ვენახებისა და მევენახეობის ტრადიციების, ღვინის ქარხნების, ონოთეკებისა და მარნების, ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საშუალებებისა და ობიექტების გაცნობა, ასევე, სხვადასხვა ჯიშისაგან დამზადებული ღვინოების წარმოების ადგილზე შეძენა და მერვინოებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ დღესასწაულებსა და საქმიანობაში მონაწილების მიღება.

ჯ) შემომყვანი ტურიზმი - არარეზიდენტი ტურისტების მოგზაურობა საქართველოს ფარგლებში.

ჰ) შიდა ტურიზმი - საქართველოს მოქალაქეების და რეზიდენტი პირების საქართველოში მოგზაურობა.

ჰ[1]) ხანგამძლე მატარებელი - ნებისმიერი ინსტრუმენტი (მათ შორის ელექტრონული), რომელიც აძლევს ტურისტს/მომხმარებელსდა მოვაჭრეს მისთვის პირადად მიწოდებული ინფორმაციის შენახვის საშუალებას, ამ ინფორმაციის გამოყენებისათვის საჭირო დროის განმავლობაში, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობა.

ჰ[2]) დამხმარე ხელშეკრულება - ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომხმარებელი სარგებლობს მომსახურებებით, რომლებიც დაკავშირებულია დროის წილობრივი განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებასთან და რომლებიც უზრუნველყოფილია მოვაჭრის ან მესამე მხარის მიერ, ამ მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე;

ჰ[3]) ქცევის კოდექსი- ამ კანონის IX თავის მიზნებისთვის შეთანხმება ან წესების კრებული, რომელიც არ არის დაწესებული კანონით, რეგულაციით ან ადმინისტრაციული დებულებით და რომელიც განსაზღვრავს მოვაჭრეთა ქცევას, რომელნიც იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ კოდექსის ნორმები ერთი ან ერთზე მეტი კონკრეტული კომერციული პრაქტიკის ან ბიზნეს სექტორის ფარგლებში;

ჰ[4]) გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები - გულისხმობს სიტუაციას, რომელსაც ვერ აკონტროლებს მხარე, რომელიც იწვევს ამგვარ სიტუაციას და რომლის შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია ყველა მიზანშეწონილი ღონისძიების გატარების შემთხვევაშიც კი."

ჰ[5]) **შეუსაბამობა** - პაკეტით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურებების ვერშესრულება ან არასათანადოდ შესრულებას;

თავი II. სახელმწიფო პოლიტიკა ტურიზმის სფეროში, ტურისტული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება

მუხლი 3 . ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია ტურიზმის ეკონომიკური სექტორის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა, დასაქმების ხელშეწყობა ტურიზმის სფეროში, რეგიონის ტურისტული პოტენციალის ზრდა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

2. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

ა) ტურისტული საქმიანობის მხარდაჭერა და ხელსაყრელი სამართლებრივი და ეკონომიკური პირობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა მისი განვითარებისათვის;

ბ) ტურიზმის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;

გ) საქართველოს, როგორც ტურისტული ადგილის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

დ) ტურისტული რესურსების დაცვა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის;

ე) შესაბამისი სამართლებრივი გარემოს შექმნა და ტურისტებისა და ტურისტული მომსახურების მიმწოდებელთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად;

ვ) ტურიზმის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ტურიზმის სფეროში უფლებამოსილი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოებია: საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მის კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქცია მოვალეობებს.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ტურიზმის თითოეული სახეობისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვროს შეღავათები, დაადგინოს შესაბამისი საქმიანობის სუბიექტებისთვის სტატუსის მოპოვების ან/და გაუქმების წესი, პრინციპები და პირობები.

3. ტურიზმის სფეროში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებებია:

ა) ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;

ბ) ტურიზმის დარგის საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება;

გ) ტურიზმის სფეროში საქართველოს სამინისტროებს შორის უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაცია.

4.სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილებებია:

ა) საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა;

ბ) შიდა ტურიზმის სტიმულირება;

გ)ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

დ) საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენებით კონკურენტუნარიანი და მდგრადი ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და არსებულის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, უნიკალური ტურისტული მომსახურებების შეთავაზების გზით;

ე) საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა საერთაშორისო ბაზარზე;

ვ) ტურიზმის სფეროში მონაცემთა მოპოვება და ანალიზი, სექტორის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მიზნით; თ) ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულებით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულებას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ტურიზმის პოლიტიკის სფეროში უფლებამოსილებებს ახორციელებენ ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო, ნორმატიული აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5. ტურიზმის მდგრადი განვითარება

1. საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, რაც გულისხმობს რესურსების იმდაგვარ მართვას, რომ შესაძლებელი იყოს ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევა ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს კულტურული თვითმყოფადობა, არსებითი ეკოლოგიური პროცესები და ბიომრავალფეროვნება.

2. ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს:

ა) ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცებას და განხორციელების მონიტორინგს;

ბ) ქვეყნის ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა მიზნით გამოყენების პირობების განსაზღვრისას, ტურისტული ინტერესებისა და პოტენციალის გათვალისწინებას;

გ) ტურიზმის სექტორის განვითარების დაგეგმვის და მართვის პროცესში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას;

დ) ტურისტული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

ე) ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას, განათლებასა და ჩართულობას ტურიზმის განვითარების პროცესში, მათ შორის ტურიზმის განვითარების პროგრამებში ;

თავი III. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვა

მუხლი 6. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

1. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (შემდგომში დანიშნულების მართვის ორგანიზაცია) არის ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებისა და კონკრეტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსი.

2. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტ(ებ)ი და ტურიზმის სფეროს კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი ან/და არაკომერციული იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტის/მუნიციპლიტეტების ფარგლებში დასაშვებია ფუნქციონირებდეს მხოლოდ ერთი დანიშნულების მართვის ორგანიზაცია.

მუხლი 7. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის მართვა და წარმომადგენლობა

1. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს ორგანიზაციის მართვისა და წარმომადგენლობის ორგანოებში დამფუძნებელთა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობას.

2. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მართვისა და წარმომადგენლობის ორგანოებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას და მუნიციპალიტეტს უნდა ჰყავდეს თითო წევრი. ტურიზმის ადმინისტრაციას, მუნიციპალიტეტსა და კერძო სექტორს გააჩნია თითო ხმა. გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსით. თუ კერძო სექტორს წარმოადგენს რამდენიმე სუბიექტი, კერძო სექტორის გადაწყვეტილებისათვის საჭიროა წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობა.

მუხლი 8 . დანიშნულების მართვის ორგანიზაციის ფუნქციები

1. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის მიზნებია:

ა) ტურისტული ადგილის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ტურიზმის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად;

ბ) ტურისტული პროდუქტების/მომსახურებების ხელშეწყობა და განვითარება.

გ) ტურიზმის სფეროში პროფესიული გადამზადებისა და ტურისტული მომსახურების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;

დ) ტურისტული მომსახურების ხარისხის შეფასების ნებაყოფლობითი სისტემების შემუშავება და განხორციელება;

ე) დანიშნულების ადგილზე ტურიზმის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა;

ვ) ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის, ერთობლივი ტურისტული პროდუქტის განვითარებისა და მარკეტინგის შესახებ ცნობიერების ამაღლება;

ზ) ტურისტების საინფორმაციო უზრუნველყოფა (ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი).

მუხლი 9. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება

1. ამ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით შექმნილ ორგანიზაციას დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსს ანიჭებს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესი განისაზღვრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

2. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების განცხადება წარედგინება სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) ამონაწერი სამეწარმეო (არასამეწარმეო) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) წესდება;

გ) ორგანიზაციისა და დანიშნულების მართვის ადგილის განვითარების კონცეფცია.

დ) სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. სტატუსის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება მიიღება ერთი თვის ვადაში. სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველია ორგანიზაციის

მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა. სტატუსის მინიჭების შემთხვევაში სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცია დანიშნულების მართვის ორგანიზაციას აღრიცხავს უწყებრივ რეესტრში. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის რეესტრის მონაცემები ქვეყნდება ადმინისტრაციის ვებ გვერდზე.

4. „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სახელწოდების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის მიერ „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სტატუსი აქვს მინიჭებული. თუ პირი არამართლზომიერად იყენებს ამ სახელწოდებას, სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უფლება აქვს მოითხოვოს მისი გამოყენების შეწყვეტა.

5. ამ კანონის III თავით დადგენილი ფუნქციების სტატუსის გარეშე განხორციელება იწვევს ამ კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

6. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცია შეიმუშავებს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობის წესებს/სტანდარტებს, პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომლის დაცვა სავალდებულოა. მათი დარღვევა შეიძლება გახდეს დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის შეჩერების/გაუქმების საფუძველი.

მუხლი 10. ტურისტული დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დაფინანსება

დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების წყაროებია:

ა) ტურისტული საქმიანობის სუბიექტების ნებაყოფლობითი შემოწირულობები და საწევრო გადასახდელი;

ბ) დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები;

გ) შესაბამისი პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

დ) გრანტები და სხვა შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

თავი IV. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების სახელმწიფო აღრიცხვა

მუხლი 11. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეგისტრაცია

1. ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები არიან: ტუროპერატორი, ტურაგენტი, კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, განთავსებისა და დროის განაწილების ხელშეკრულების მიმწოდებელი, ტურისტული გიდი, მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი.

2. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ მონაცემთა აღრიცხვისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

3. ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეატყობინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას ელექტრონული ფორმატით მიაწოდოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დარეგისტრირებული ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ არსებული ინფორმაცია მართვის ავტომატიზებული საშუალებებით.

თავი V. ტურისტული პაკეტის და კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება

მუხლი 12. ამ თავის მოქმედების სფერო და გამონაკლისები ამ თავის მოქმედებიდან

1. ეს თავი ეხება პაკეტებს, რომელთაც მოვაჭრეები ყიდიან ტურისტებზე ან სთავაზობენ ფასდაკლებით და მოვაჭრეების მიერ ტურისტებისთვის უზრუნველყოფილ კომბინირებულ სამოგზაურო მომსახურებებს.

2. ტურისტს არ ააქვს უფლება თქვას უარი ამ თავით მინიჭებულ უფლებებზე.

3. ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომელიც გრძელდება 24 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი მოიცავს ღამის თევით განთავსებას;

ბ) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომლებიც შეთავაზებულია არარეგულარულად, არაკომერციული მიზნით და მხოლოდ ტურისტთა მცირე ჯგუფისთვის;

გ) პაკეტებსა და კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომელიც შესყიდულია მოვაჭრესა და სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის საქმიანი მოგზაურობის შესახებ ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულია პირის საქმიანობასთან, ვაჭრობასთან, პროფესიასთან.

4. პაკეტის ორგანიზატორი ტუროპერატორის ან კომბინირებული ტურისტული მომსახურების გამყიდველი მოვაჭრის განცხადება, რომ ის მოქმედებს ექსკლუზიურად, როგორც ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, შუამავალი ან მოქმედებს ნებისმიერი სხვა სტატუსით, ან რომ პაკეტი ან კომბინირებული ტურისტული მომსახურება არ წარმოადგენს პაკეტს ან კომბინირებულ ტურისტული მომსახურებას, არ ათავისუფლებს ტუროპერატორორს ან მოვაჭრეს მასზე ამ თავით დაკისრებული ვალდებულებებისგან.

5.არცერთი სახელშეკრულებო შეთანხმება ან განცხადება ტურისტის მხრიდან, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უარყოფს ან ზღუდავს ტურისტებისთვის ამ თავით გადაცემულ უფლებებს ან გამიზნულია ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნების გვერდის ასავლელად, არ უნდა იყოს სავალდებულო ტურისტისთვის.

6. ამ თავით განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნები გავლენას არ ახდენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგად სახელშეკრულებო სამართალზე, რომელიც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 13. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

1. ტურისტს, ტურისტულ პაკეტის ან სხვა შესაბამის შეთავაზებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების დადებამდე, ტუროპერატორმა, ტურაგენტმა ან სხვა მოვაჭრემ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამ კანონის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით გათვალისწინებული სტანდარტული ფორმების შესახებ.

2. გარდა პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კონკრეტული ტურისტული პაკეტის შემთხვევაში ტურისტს დამატებით უნდა მიეწოდოს შემდეგი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია:

ა) ტურისტული მომსახურების ძირითადი მახასიათებლები:

ა.ა) დანიშნულების ადგილი, მარშრუტის და პერიოდის (თარიღების) მითითებით, თუ პაკეტი მოიცავს განთავსების მომსახურებას - გასათევი ღამეების რაოდენობა;

ა.ბ) გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების მახასიათებლები და მათი კატეგორია, დანიშნულების ადგილი, გამგზავრებისა და დაბრუნების ადგილი, თარიღი და დრო,

შუალედური გაჩერებების დრო და ადგილები. თუ გამგზავრების და დაბრუნების თარიღები ზუსტად არ არის დადგენილი, ტურისტს უნდა ეცნობოს მიახლოებითი თარიღების შესახებ.

ა.გ) განთავსების საშუალების ადგილმდებარეობა, ძირითადი მახასიათებლები და კატეგორია დანიშნულების ქვეყნის რეგულაციების შესაბამისად;

ა.დ) კვების განრიგი;

ა.ე) ვიზიტების, ექსკურსიების ან სხვა მომსახურებები, რომლებიც პაკეტის შეთანხმებულ ჯამურ ღირებულებაში შედის;

ა.ვ) ჯგუფის სავარაუდო ზომა, თუ ტურისტული მომსახურება ტურისტს მიეწოდება, როგორც ჯგუფის წევრს;

ა.ზ) საკომუნიკაციო ენა, რომელზეც აღნიშნული მომსახურებები იქნება გაწეული;

ა.თ) იმის შესახებ არის თუ არა მოგზაურობა ადაპტირებული შეზღუდული გადაადგილების უნარის მქონე პირებისათვის, ტურისტის მოთხოვნის შემთხვევაში, ზუსტი ინფორმაცია, მისი საჭიროებების გათვალისწინებით.

ბ) ტუროპერატორის ან/და ტურაგენტის სახელის და იურიდიული მისამართის, ტელეფონის ნომრის და ელ-ფოსტის მისამართის შესახებ;

გ) პაკეტის ჯამური ღირებულება გადასახადებისა და ყველა სხვა დამატებითი ხარჯის ჩათვლით, ან, თუ აღნიშნული ხარჯების გონივრული გაანგარიშება ხელშეკრულების დადებისას წინასწარ შეუძლებელია, მითითებას დამატებითი ხარჯების შესახებ, რომელთა გაწევაც ტურისტს შეიძლება დაეკისროს;

დ) გადახდის მეთოდების, მათ შორის, ნებისმიერი თანხა ან ღირებულების ნაწილი, რომელსაც ტურისტი წინასწარ იხდის და დარჩენილი თანხის გადახდის ან ტურისტის მიერ ფინანსური გარანტიების წარდგენის გრაფიკი;

ე) პაკეტისათვის საჭირო პირების მინიმალური რაოდენობის შესახებ და ინფორმაცია პაკეტის დაწყებამდე რამდენი დღით ადრე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულება, თუ არ შეიკრიბა აღნიშნული რაოდენობა;

ვ) პასპორტთან ან/და ვიზასთან (მათ შორის ვიზის მისაღებად საჭირო დროის შესახებ) და დანიშნულების ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ;

ზ) ტურისტის უფლების შესახებ, ტურისტული პაკეტის განხორციელების დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ;

თ) ნებაყოფლობითი ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომელიც ფარავს ტურისტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ ხარჯებს ან/და ზიანის(ზარალის) ანაზღაურების

ხარჯებს, მათ შორის, რეპატრიაციის, უბედური შემთხვევის, ავადმყოფობის ან სიკვდილის შემთხვევაში.

ი) საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტის ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევისგან სავალდებულო დაზღვევის პირობებისა და წესის შესახებ, ასევე, კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა სავალდებულო დაზღვევის თაობაზე, რომელიც მასზე გავრცელდება საქართველოში ყოფნის პერიოდში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება იდება ტელეფონით, ტურისტს მიეწოდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-“თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია.

4. ამ კანონის მე-2 მუხლის „ძ.ბ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოვაჭრე, რომელიც ყიდის პაკეტს, ვალდებულია შეატყობინოს ტურისტს, რომ პირველი მოვაჭრისაგან მომსახურების შეძენის დადასტურებიდან 24 საათის განმავლობაში მეორე მოვაჭრისგან მომსახურების შეძენა ერთობლიობაში ჩაითვლება ტურისტულ პაკეტად. ამ შემთხვევაში, თითოეულმა მათგანმა ტურისტს უნდა მიაწოდოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-“თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით განსაზღვრული ინფორმაცია.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული მითითებული ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ. როდესაც ამგვარი ინფორმაცია მიეწოდება წერილობითი ფორმით, ის უნდა იყოს ადვილად წასაკითხი და აღქმადი.

მუხლი 14. წინასახელშეკრულებო ინფორმაციის სავალდებულო ხასიათი და ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების დადება

1. ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ტუროპერატორი ან/და ტურაგენტი ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე ტურისტს მკაფიო და გასაგები ფორმით აცნობოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში შესული ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

2. თუ ტუროპერატორმა ან/და ტურაგენტმა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დამატებითი ხარჯის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა ტურისტს, მას არ დაეკისრება დამატებითი ხარჯების გადახდის ვალდებულება.

მუხლი 15. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შინაარსი და პაკეტის დაწყებამდე წარსადგენი დოკუმენტები

1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება უნდა იყოს შედგენილი მკაფიო და გასაგები ფორმით. ხელშეკრულების დადებისთანავე ტუროპერატორი ან/და ტურაგენტი ვალდებულია ტურისტს გადასცეს ხელშეკრულების ასლი ან მისი დადების დადასტურება ინფორმაციის ხანგამძლე მატარებელზე. ტურისტს შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტის ასლი მატერიალური ფორმით, თუ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება დაიდო მხარეთა ფიზიკური თანდასწრებით.

2. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას ტურისტის სპეციალური მოთხოვნების შესახებ, რომელსაც დაეთანხმა ტუროპერატორი;

ბ) ინფორმაციას, რომ ტუროპერატორი:

ბ.ა) პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ტურისტული მომსახურების სათანადო შესრულებაზე ამ კანონის მე-21 მუხლის შესაბამისად;

ბ.ბ) სირთულეების წარმოქმნისას ვალდებულია უზრუნველყოს ტურისტის დახმარება ამ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.

გ) უზრუნველყოფის გამცემის საფირმო სახელსა და მის საკონტაქტო მონაცემებს. ასევე სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონტაქტო მონაცემებს (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი).

დ) ტუროპერატორის ადგილობრივი წარმომადგენლის, საკონტაქტო პირის ან იმ სხვა სამსახურის სახელს, მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და შესაბამის შემთხვევაში, ფაქსის ნომერს, რომელიც ტურისტს მისცემს ტუროპერატორთან სწრაფად დაკავშირების და მასთან ეფექტიანი კომუნიკაციის შესაძლებლობას, იმ მიზნით, რომ სირთულეების არსებობისას ტურისტს შეეძლოს დახმარების მოთხოვნა ან საჩივრის წარდგენა, როდესაც პაკეტის პირობები სათანადოდ არ სრულდება.

ე) ინფორმაციას, რომ ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს დაუყონებლივ აცნობოს პაკეტის პირობების ნებისმიერი დარღვევის შესახებ;

ვ) არასრულწლოვნის მოგზაურობის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს არ ახლავს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი და პაკეტი მოიცავს განთავსებას, კავშირს არასრულწლოვანთან ან განთავსების ადგილას მყოფ არასრულწლოვანზე პასუხისმგებელ პირთან;

თ) ინფორმაციას საჩივრის განხილვის შიდა პროცედურებისა და მომხმარებელთა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის შესახებ;

ი) ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტურისტს უფლება აქვს პაკეტი გადასცეს მესამე პირს მე-18 მუხლის შესაბამისად;

3. ამ კანონის მე-2 მუხლის „ძ.ბ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოვაჭრე, რომელსაც გადაეცემა ტურისტის მონაცემები, ვალდებულია ტუროპერატორს აცნობოს, რომ მან დადო ხელშეკრულება ტურისტთან, რითაც შეიქმნა ტურისტული პაკეტი. მოვაჭრე ვალდებულია სრულად წარუდგინოს ტუროპერატორს ის ინფორმაცია, რომელიც ტუროპერატორისთვის აუცილებელია მისი ვალდებულების შესასრულებლად. ტუროპერატორის მიერ პაკეტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე იგი ტურისტს აწვდის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა-ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციას წერილობით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალიწინებული ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს მკაფიო და გასაგები ფორმით.

5. პაკეტის ამოქმედებამდე გონივრულ ვადებში, ტუროპერატორმა ტურისტი უნდა უზრუნველყოს ბილეთებით, ჯავშნის დამადასტურებელი და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით, ასევე გამგზავრების განრიგის, ფრენაზე რეგისტრაციის ბოლო ვადის, მგზავრობისას შუალედური გაჩერებების განრიგის, დამაკავშირებელი ტრანსპორტის და ჩასვლის მიახლოებითი დროის შესახებ ინფორმაციით.

6. ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს გადასცეს დაზღვევის ან საბანკო გარანტიის სერტიფიკატი, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანია ან ფინანსური ინსტიტუტი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ტურისტს თანხა პაკეტის მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ტუროპერატორის გადახდისუუნარობით. უზრუნველყოფაში მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის გამცემი სუბიექტის მონაცემები, მათ შორის საიდენტიფიკაციო ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონტაქტო მონაცემები, სხვა აუცილებელი მონაცემი, რომელიც საჭიროა უზრუნველყოფის გამოსაყენებლად.

7. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს წერილობით, ქართულ ენაზე და, შესაძლოა, სხვა ენაზეც, რომელსაც ტურისტი ფლობს.

მუხლი 16. მტკიცების ტვირთი

ტურისტისთვის ამ თავით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.

მუხლი 17. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების გადაცემა მესამე პირებზე

1. ტურისტს შეუძლია პაკეტის ამოქმედებამდე ტუროპერატორისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ტურისტული პაკეტი გადასცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს. ტურისტი ვალდებულია მინიმუმ შვიდი

კალენდარული დღით ადრე, წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ტუროპერატორს მესამე პირისათვის პაკეტის გადაცემის შესახებ.

2. ტუროპერატორს შეუძლია მოითხოვოს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია. ტუროპერატორი ვალდებულია შეატყობინოს ტურისტს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობის (გადაცემის) საფასური. გადამცემი და მიმღები პირები ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელნი არიან მის გადახდაზე. აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს არათანაზომიერი და არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ პაკეტით ხელშეკრულების გადაცემისთვის დადგენილ რეალურ ღირებულებას.

3. ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტული პაკეტის გადამცემს მიაწოდოს დამატებითი საფასურის, დანახარჯების და გადაცემით გამოწვეული სხვა ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 18. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების ფასის ცვლილება

1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ტუროპერატორის მიერ პაკეტის ღირებულების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული:

ა) ტუროპერატორის მიერ პაკეტის ღირებულების ფასის გაზრდის შესახებ და დადგენილია ფასის შეცვლის და გამოთვლის წესი;
ბ) ტურისტის უფლების შესახებ მოითხოვოს ფასის შემცირება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების წარმოშობისას.

2. ფასის გაზრდა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
ა) ტურისტის გადაყვანის ღირებულება გაიზარდა საწვავის ან სხვა ენერგიის წყაროების ფასის გაზრდის გამო;

ბ) გაიზარდა კონკრეტული სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურების, ასევე, ტურისტის, საჰაერო ხომალდის დაშვების, ტურისტთა ჩასხდომა-გადასხდომის, პორტებსა და აეროპორტებში ტვირთის გადატანა-გადაზიდვის გადასახადები;

გ) გაიზარდა პაკეტში გათვალისწინებული სავალუტო გაცვლითი კურსის ოდენობა.

3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების გამო ტურისტული პაკეტის ღირებულების ზრდა 8%-ზე მეტია, გამოიყენება ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 - მე-6 ნაწილების მოთხოვნები.

4. ფასის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტუროპერატორი პაკეტის დაწყებამდე მინიმუმ 20 დღით ადრე შეატყობინებს ტურისტს ფასის გაზრდის შესახებ, წერილობითი ფორმით. აღნიშნული შეტყობინება უნდა მოიცავდეს შესაბამის დასაბუთებას და ახალი ფასის კალკულაციას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ღირებულების გაზრდის შესაძლებლობას, ტურისტს ხელშეკრულების დადების შემდეგ უფლება აქვს ამ ვადაში, ასევე მოითხოვოს ფასის შემცირება პაკეტის ამოქმედებამდე, თუ შემცირდა ფასები ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6. ფასის შემცირების შემთხვევაში, ტუროპერატორს უფლება აქვს ტურისტისთვის დასაბრუნებელი თანხიდან გამოქვითოს ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯი. ტურისტის მოთხოვნით, ტუროპერატორმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

მუხლი 19. ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულების პირობების სხვა ცვლილებები

1. პაკეტის ამოქმედებამდე ტუროპერატორის მიერ ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში, თუ:

ა) ტუროპერატორს ხელშეკრულებით მიენიჭა ცალმხრივი ცვლილების უფლება;

ბ) ცვლილება არის უმნიშვნელო; და

გ) ტუროპერატორი აღნიშნული ცვლილების შესახებ შეატყობინებს ტურისტს მკაფიოდ და გასაგებად, წერილობითი ფორმით.

2. იმ შემთხვევაში, თუ პაკეტის ამოქმედებამდე ტუროპერატორი იძულებულია მნიშვნელოვნად შეცვალოს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებლები, კერძოდ: ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობები ან ვერ ასრულებს იმ სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ან მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით პაკეტის ღირებულებას ზრდის 8%-ზე მეტით, ტურისტს ტუროპერატორის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში უფლება აქვს:

ა) დაეთანხმოს შემოთავაზებულ ცვლილებებს ან;

ბ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტურისტი წყვეტს ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებას, ტუროპერატორს შეუძლია შესთავაზოს იმავე ან უკეთესი ხარისხის ტურისტულ პაკეტი და ტურისტი უფლებამოსილია მიიღოს ეს პაკეტი ან უარი განაცხაოდს შეთავაზებაზე.

4. ტუროპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მკაფიოდ და გასაგებად, წერილობითი ფორმით, შეატყობინოს ტურისტს:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის და, შესაბამის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების ცვლილებისა და ამ ცვლილების ფასზე გავლენის შესახებ ინფორმაცია;

ბ) გონივრული ვადის შესახებ, რა ვადაშიც ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს აცნობოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დადგენილ ვადაში ტურისტის მიერ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ტურისტი ეთანხმება ცვლილებებს;
დ) შესაბამისი გარემოებების არსებობისას, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შეცვლილ პაკეტის ფასზე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტურისტის უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი ფასის შემცირება, თუ შეთავაზებული პაკეტის ახალი პირობები ან ახალი პაკეტის პირობები წინა პაკეტზე დაბალი ხარისხის ან ღირებულებისა.

6. თუ ტურისტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წყვეტს ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებას და არ ეთანხმება შეცვლილ პაკეტს, ტუროპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა, დაუბრუნოს ტურისტს ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 20. ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა და პაკეტის დაწყებამდე უარის თქმის უფლება

1. ტურისტს შეუძლია ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა ნებისმიერ დროს პაკეტის დაწყებამდე. თუ ტურისტი ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულებას წყვეტს ამ პუნქტის შესაბამისად, ტურისტი ვალდებულია, ტუროპერატორს გადაუხადოს სათანადო და დასაბუთებული შეწყვეტის საფასური. ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შეწყვეტისათვის გონივრულ და სტანდარტულ საფასურს ხელშეკრულების შეწყვეტიდან პაკეტის დაწყებამდე არსებული დროის შესაბამისად. ტურისტის მოთხოვნით ტუროპერატორმა უნდა წარადგინოს შეწყვეტის საფასურის დასაბუთება.

2. მიუხედავად, ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ტურისტს აქვს პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება მის ამოქმედებამდე შეწყვეტის საფასურის გარეშე გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობისას, რომელიც წარმოიშობა დანიშნულების ადგილზე ან მის უშუალო სიახლოვეს, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პაკეტის შესრულებაზე ან მგზავრთა გადაყვანაზე. ამ პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ტურისტს უფლება აქვს, სრულად აუნაზღაურდეს ნებისმიერი თანხა, რომელიც მან პაკეტის ფარგლებში გადაიხადა, თუმცა მას არ აქვს დამატებითი კომპენსაციის მიღების უფლება.

3. ტუროპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თანხა სრულად დაუბრუნოს ტურისტს, მაგრამ არ დაეკისრება დამატებითი კომპენსაციის გადახდა, თუ:

ა) ტურისტული მომსახურების გასაწევად ტურისტთა რაოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მინიმალურ პირთა რაოდენობაზე ნაკლებია და ტუროპერატორი ტურისტს აცნობებს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს:

ა.ა) პაკეტის დაწყებამდე 20 დღისა, იმ შემთხვევაში როდესაც მოგზაურობის ვადა 6 დღეზე მეტია;

ა.ბ) პაკეტის დაწყებამდე 7 დღისა, როდესაც მოგზაურობის ვადა 2-დან 6-დღემდეა;

ა.გ) პაკეტის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა, როდესაც მოგზაურობის ვადა 2 დღეზე ნაკლებია; ან

ბ) ტუროპერატორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მისგან დამოუკიდებლად, გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო და ტურისტს შეატყობინებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პაკეტის ამოქმედებამდე.

4. ტუროპერატორი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანხა უკან დაუბრუნოს ტურისტს ან, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აანაზღაუროს ტურისტის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გამოკლებით. აღნიშნული თანხები უნდა დაუბრუნდეს ტურისტს დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 14 დღისა.

5. ტურისტი უფლებამოსილია ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას სარეწის გარეთ დადებულ ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებაზე, მისი დადებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 21. პაკეტის შესრულების პასუხისმგებლობა

1. ტუროპერატორი პასუხისმგებელია ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე მიუხედავად იმისა მომსახურება გაწეულია უშუალოდ მისი თუ სხვა ტურისტული მომსახურების გამწევი პირის მიერ.

2. ტურისტი, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ტუროპერატორს ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას აღმოჩენილი რაიმე ხარვეზის შესახებ.

3. თუ, რომელიმე ტურისტული მომსახურება არ შესრულდა ტურისტულ პაკეტის ხელშეკრულების შესაბამისად, ტუროპერატორი ვალდებულია გამოასწოროს შეუსაბამობა, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც:

ა) მისი აღმოფხვრა შეუძლებელია, ან;

ბ) აღმოფხვრა მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ხარჯებს, შეუსაბამობის ფარგლებისა და ტურისტული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით.

4. თუ, ტუროპერატორი ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზეზით არ აღმოფხვრის შეუსაბამობას, გამოიყენება ამ კანონის 22-ე მუხლი.

5. თუ ტუროპერატორი არ აღმოფხვრის ხარვეზს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზი და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ტუროპერატორი უარს იტყვის ხარვეზის აღმოფხვრაზე, ან თუ ტურისტი დაინტერესებულია ხარვეზის დაუყოვნებელი აღმოფხვრით.

6. თუ ტურისტული მომსახურებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის გამგზავრების ადგილზე დაბრუნების მომსახურება, ვერ სრულდება ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შესაბამისად, პაკეტის გაგრძელების მიზნით ტუროპერატორმა დამატებითი საფასურის გარეშე უნდა შესთავაზოს ტურისტს ხელშეკრულებით გათვალისწინებულის მსგავსი ან უფრო მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურებები.

7. როდესაც ალტერნატიული მომსახურებების სახით ხდება უფრო დაბალი ხარისხის პაკეტის შეთავაზება, ორგანიზატორი ვალდებულია ტურისტს შეუმციროს ფასი შესაბამისად. ტურისტმა შეიძლება უარი თქვას შეთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არსებითად განსხვავებულია ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულებით შეთანხმებულ მომსახურებისაგან ან მომსახურებისათვის შემცირებული ფასი არაადეკვატურია.

8. როდესაც ხარვეზი არსებით ზეგავლენას ახდენს პაკეტის შესრულებაზე და ტუროპერატორი ვერ ასწორებს ხარვეზებს ტურისტის მიერ დაწესებულ გონივრულ ვადაში, ტურისტმა შეიძლება შეწყვიტოს ტურისტულ პაკეტის შესახებ ხელშეკრულება შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე და შესაბამის შემთხვევაში, მოითხოვოს ფასის შემცირება ან/და ზიანის ანაზღაურება ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად.

9. თუ ალტერნატიული მომსახურებების განხორციელება შეუძლებელია ან ტურისტი უარს ამბობს შემოთავაზებულ ალტერნატიულ მომსახურებებზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ტურისტი უფლებამოსილია მიიღოს ფასის შემცირება ან/და ზიანის კომპენსაცია ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად.

10. თუ პაკეტი ითვალისწინებს მგზავრთა გადაყვანას, ტუროპერატორმა ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე უნდა განახორციელოს ტურისტის რეპატრიაცია, შესაბამისი ტრანსპორტით დაუყოვნებლივ და ტურისტისათვის დამატებითი ხარჯის დაკისრების გარეშე.

11. თუ გაუთვალისწინებელი და საგანგებო გარემოებების გამო ტურისტის დაბრუნების უზრუნველყოფა ტურისტულ პაკეტით გათვალისწინებული შეთანხმების შესაბამისად შეუძლებელია, ტუროპერატორს ეკისრება, ეკვივალენტური კატეგორიის (თუ ეს შესაძლებელია) განთავსების საშუალების ხარჯები, მაქსიმუმ სამი ღამე თითოეულ ტურისტზე.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების შეზღუდვა არ ვრცელდება გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე და მათ თანმხლებ ნებისმიერ პირზე, ორსულ ქალზე და მცირეწლოვანზე თანმხლები პირის გარეშე, ასევე სპეციფიკური სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირებზე, თუ ორგანიზატორს ეცნობა მათი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ არაუგვიანეს 48 საათისა პაკეტის დაწყებამდე.

მუხლი 22. ფასის შემცირება და ზიანის ანაზღაურება

1. ტურისტი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფასის შემცირება იმ პერიოდის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც არსებობდა შეუსაბამობა, თუ იგი გამოწვეული არ არის ტურისტის ბრალით.

2. ტურისტს აქვს უფლება ტუროპერატორისაგან მიიღოს სათანადო კომპენსაცია ნებისმიერი იმ ზიანისათვის, რომელიც მან განიცადა გასაწევი მომსახურების შეუსაბამობის გამო. კომპენსაცია უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ.

3. ტურისტს არ აქვს კომპენსაციის მიღების უფლება ზიანისთვის, თუ ტუროპერატორი დაადასტურებს, რომ ხარვეზი:

ა) გამოწვეული ტურისტის ბრალით;

ბ) გამოწვეულია მესამე მხარის ბრალით, რომელიც არ არის დაკავშირებული პაკეტით გათვალისწინებულ ტურისტული მომსახურების გაწევასთან და აღნიშნული ტუროპერატორისთვის გაუთვალისწინებელი იყო ან/და თავიდან აცილება შეუძლებელი;იყო;

გ) გამოწვეულია გარდაუვალი და საგანგებო გარემოებებით.

4. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით ტუროპერატორს ტურისტისთვის მიყენებული ზიანის გამო პასუხიმგებლობა შეუძლია შეიზღუდოს პაკეტის ფასის სამმაგი ოდენობით. დაუშვებელია პასუხისმგებლობის შეზღუდვის დაწესება, თუ ზიანმა გამოიწვია ფიზიკური დაზიანება და დაზიანება გამოწვეულია ტუროპერატორის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედებით.

5. ტურისტის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან პაკეტის ფასის შემცირება, არ მოქმედებს ტურისტის უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით. შესაბამისად, ტურისტებს შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნები გათვალისწინებული ამ თავით და სპეციალური ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტმა მიიღო კომპენსაცია ან მას შეუმცირდა პაკეტის ფასი ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის და ასევე სპეციალური ნორმების ან საერთაშორისო კონვენციების გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის შედეგად,

გადაჭარბებული კომპენსირების თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს ანაზღაურებების უღტიერთგაქვითვა.

6. ამ მუხლიდან გამომდინარე წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადაა 2 წელი.

მუხლი 23. ტუროპერატორთან დაკავშირება ტურაგენტის საშუალებით

ტურისტი უფლებამოსილია პაკეტის შესრულებასთან დაკავშირებით, შეტყობინებები, მოთხოვნები და საჩივრები პირდაპირ გაუგზავნოს ტურაგენტს, რომელთანაც მოხდა მათი შეძენა. ტურაგენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს აღნიშნული შეტყობინებები, მოთხოვნები და საჩივრები ტუროპერატორს. ტურაგენტთან გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ტუროპერატორთან გაგზავნილად.

მუხლი 24. დახმარების ვალდებულება

1. ტუროპერატორი ვალდებულია ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაეხმაროს ტურისტს მოგზაურობის დროს წარმოშობილი სირთულეებისას, მათ შორის 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებში:

ა) მიაწოდოს ტურისტს ინფორმაცია ადგილობრივი ჯანდაცვის მომსახურებების, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების და საკონსულო დახმარების შესახებ;

ბ) დაეხმაროს ტურისტის კომუნიკაციის დამყარებაში და ალტერნატიული ტურისტული მომსახურების მოძებნაში;

გ) შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის შეზღუდვის მქონე პირებს მიაწოდოს ინფორმაცია ინკლუზიური ტურისტული სერვისებისა და მისაწვდომობის შესახებ, ასევე მოგზაურის სურვილის შემთხვევაში მიაწოდოს გადამოწმებული ინფორმაცია მათი საჭიროებების მიხედვით გონივრული მისადაგებისა და ალტერნატიული მომსახურეობების შესახებ.

2. თუ საფრთხე ან/და მნიშვნელოვანი დაბრკოლება გამოწვეულია ტურისტის დაუდევრობით ან მისი განზრახი ქმედებით, ტუროპერატორი უფლებამოსილია დახმარების გაწევისათვის მოსთხოვოს ტურისტს შესაბამისი საფასურის გადახდა. აღნიშნული საფასური არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 25. პასუხისმგებლობა დაჯავშნის დროს დაშვებული შეცდომისთვის

მოვაჭრე პასუხისმგებელია მის სისტემაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზზე. მოვაჭრე არ არის პასუხისმგებელი ისეთ შეცდომებზე, რომლებიც დაჯავშნისას ტურისტის მიზეზით ან გარდაუვალი ან/და საგანგებო გარემოებების გამო იქნა გამოწვეული.

თავი VI. გადახდისუუნარობისაგან დაცვა

მუხლი 26. ტუროპერატორის გადახდისუუნარობის შედეგად დამდგარი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა

1. იმ შემთხვევისთვის, როდესაც ტურისტულ პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებები მთლიანად ან ნაწილობრივ ტუროპერატორის გადახდისუუნარობის გამო არ სრულდება, ტუროპერატორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) ტურისტის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის ანაზღაურების მიზნით. თუ პაკეტი მოიცავს ტურისტის გადაყვანას, უზრუნველყოფა ასევე, უნდა ფარავდეს შესაძლო რეპატრიაციის ხარჯებს. თუ ტუროპერატორი არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მან ასევე უნდა წარმოადგინოს უზრუნველყოფა ამ კანონის შესაბამისად.

2. ტუროპერატორის უზრუნველყოფით სარგებლობა შეუძლიათ ტურისტებს, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და გამგზავრების ადგილის ან პაკეტის გაყიდვის ადგილისა. და მიუხედავად იმისა, სად არის უზრუნველყოფის გამცემი ორგანიზაცია განთავსებული.

3. როდესაც პაკეტის შესრულება ვერ ხერხდება ტუროპერატორის გადახდისუუნარობის გამო, რეპარტიაცია და, საჭიროების შემთხვევაში, რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსება ხორციელდება უზრუნველყოფის მეშვეობით და უსასყიდლოდ. თუ ტურისტული მომსახურებები არ განხორციელებულა, ანაზღაურება ხორციელდება დაუყოვნებლივ, ტურისტის მოთხოვნით.

4. ამ კანონის მიზნებისათვის გადახდისუუნაროდ მიიჩნევა ტუროპერატორი, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ვადამოსული ვალდებულებების შესრულებას/გადახდას, რაც შეუძლებელს ხდის ტურისტული მომსახურების შესრულებას. უზრუნველყოფა ხორციელდება დაზღვევით ან საბანკო გარანტიის ფორმით.

6. წარდგენილი უზრუნველყოფა ტურისტს უფლებას აძლევს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე მიიღოს ამ თავით გათვალისწინებული შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 27. გადახდისუუნარობისგან დაცვა და ინფორმაციის მოთხოვნა კომბინირებულ ტურისტული მომსახურებებთან დაკავშირებით

1. კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლები, ვალდებული არიან იქონიონ უზრუნველყოფა ყველა გადასახადთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი იღებენ ტურისტისაგან, როდესაც ტურისტული მომსახურება, რომელიც წარმოადგენს კომბინირებული ტურისტული ღონისძიების ნაწილს, ვერ სრულდება მათი გადახდისუუნარობის გამო.

2. თუ, კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლები, წარმოადგენენ ტურისტთა გადაყვანაზე პასუხისმგებელ პირებს, უზრუნველყოფა ასევე უნდა ფარავდეს ტურისტის რეპატრიაციას.

3. ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათალისწინებულ შემთხვევებზე ვრცელდება ამ კანონის 25-ე მუხლი.

4. მოვაჭრე, რომელიც ხელს უწყობს კომბინირებული ტურისტული მომსახურებების შეძენას, მათ შორის, ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოვაჭრე, ვალდებულია ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ნათლად და გასაგებად განუმარტოს ტურისტს, რომ:

ა) ტურისტი ვერ ისარგებლებს პაკეტის ხელშეკრულებისთვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებებით და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი მომსახურების სათანადო შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მომსახურების თითოეული მიმწოდებელი;

ბ) გადახდისუუნარობის შემთხვევაში ტურისტი ისარგებლებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალიწინებული გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფით.

5. ტურისტს მიეწოდება სტანდარტული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტების მოთხოვნა არ იქნება შესრულებული კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლის მიერ, კომბინირებულ ტურისტულ მომსახურებებზე ვრცელდება ამ კანონის მე-17, მე-20-24-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

7. იმ შემთხვევაში თუ ტურისტი დამატებით ხელშეკრულებას დებს მოვაჭრესთან, რომელიც არ არის კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი მაგრამ ამ ხელშეკრულების დადებით იქმნება კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება, მოვაჭრე ვალდებულია შეატყობინოს კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს ასეთი ხელშეკრულების დადების შესახებ.

მუხლი 28. ვალდებულებების უზრუნველყოფის ფარგლები

1. ტუროპერატორის მიერ წარმოდგენილი ფულადი უზრუნველყოფა მოიცავს:

ა) პაკეტის შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებას, თუ პაკეტი გაუქმდა; ან

ბ) პაკეტის იმ ნაწილის კომპენსაციის თანხას, რომელი ნაწილიც გაუქმდა;

გ) თუ, პაკეტი ითვალისწინებს ტურისტის გადაყვანას - ტურისტის რეპატრიაციის ხარჯებს;

დ) ტურისტის განთავსების ხარჯებს რეპატრიაციამდე;

2. კომბინირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფულადი უზრუნველყოფა მოიცავს:

ა) ტურისტისთვის გადახდილი თანხის დაბრუნებას, თუ ტურისტული მომსახურება, რომელიც გათვალისწინებული იყო კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით არ შედგა მოვაჭრის გადახდისუუნარობის გამო;

ბ) თუ, კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობა მოიცავს გადაყვანას, ტურისტის რეპატრიაციის ხარჯებს;

გ) ტურისტის განთავსების ხარჯებს, ვიდრე განხორციელდება რეპატრიაცია, თუ კომბინირებული ტურისტული მომსახურებები მოიცავს ტურისტთა გადაყვანას და გადაყვანაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოვაჭრეს.

3. ტუროპერატორი სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას წარუდგენს შესაბამისი უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის (სერტიფიკატს) ერთ ეგზემპლარს. უზრუნველყოფისა და მისი ოდენობის შესახებ ინფორმაცია აისახება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სპეციალურ რეესტრში.

4. ტუროპერატორის გადახდისუუნარობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის მიზნით ცენტრალური საკონტაქტო ორგანოა სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

5. თუ ცენტრალურ საკონტაქტო ორგანოს ააქვს ეჭვი ტუროპერატორის გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის შესახებ, მან უნდა მოითხოვოს ახსნა-განმარტება ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების სხვა წევრი სახელმწიფოსგან, რომელიც არის ტუროპერატორის რეგისტრაციის სახელმწიფო.

6. თუ ცენტრალური საკონტაქტო ორგანო მიიღებს ინფორმაციას ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების სხვა წევრი სახელმწიფოს ცენტრალური საკონტაქტო ორგანოდან საქართველოში რეგისტრირებული ტუროპერატორის მიერ მოწოდებული გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის შესახებ, მან უნდა უპასუხოს ასეთ მოთხოვნას: რაც შეიძლება სწრაფად, საკითხის სასწრაფოობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 29. ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის გამოთვლა

1. ვალდებულების უზრუნველყოფის ოდენობა უნდა იყოს:

ა) ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტული მომსახურებებს და ჩარტერულ ფრენებს - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7%-ისა, მაგრამ არანაკლებ 30 000 ლარისა;

ბ) ტურაგენტი, რომელიც ამ კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ტუროპერატორის მიერ შექმნილი პაკეტის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტებს სთავაზობს ასეთ პაკეტს ან ასეთი ტუროპერატორის სახელით ჰყიდის ამ პაკეტს - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7%-ისა, მაგრამ არანაკლებ 30 000 ლარისა;

გ) ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტული მომსახურებებს და რეგულარულ ფრენებს - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 30 000 ლარისა ;

დ) ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტული მომსახურებებს, გარდა რეგულარული ან ჩარტერული ფრენებისა - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა ;

ე) კომბინირებული ტურისტული მომსახურებები, რომელიც ხორციელდება საქართველოში,საქართველოს გარეთ ან მხოლოდ საქართველოს გარეთ - დაგეგმილი კომბინირებული ტურისტული მომსახურებების წლიური გაყიდვების არანაკლებ 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა;

2. ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად წარმოდგენილი უზრუნველყოფის თანხა, უნდა იყოს ეფექტური და უნდა მოიცავდეს გონივრულად მოსალოდნელ ხარჯებს. ის უნდა ფარავდეს ტურისტების მიერ ან მათი სახელით პაკეტებისთვის გადახდილი თანხებს, პირველ შენატანებს, საბოლოო გადახდებსა და პაკეტების დასრულებას შორის პერიოდის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აგრეთვე, რეპატრიაციის სავარაუდო ხარჯებს ტუროპერატორს გადახდისუუნარობის შემთხვევაში. აღნიშნული უზრუნველყოფის თანხის შესაბამისობის (საკმარისი ოდენობა) მტკიცების ტვირთი ეკისრება ტუროპერატორს.

3. მოვაჭრე, ვალდებულია კვარტალში ერთხელ, ყოველი საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას წარუდგინოს პაკეტების და კომბინირებული ტურისტული მომსახურებებით გაყიდული მთლიანი შემოსავლების შესახებ ანგარიში. მოვაჭრემ, უნდა წარმოადგინოს მომდევნო კვარტლისთვის განახლებული პაკეტების და კომბინირებული ტურისტული მომსახურებების დაგეგმილი გაყიდვების შესახებ მონაცემები. ასევე, მე-4 კვარტლის ანგარიშთან ერთად, წარადგინოს დაგეგმილი წლის ანგარიში (კვარტლების მიხედვით ჩაშლილი), რომელიც გამოყენებული იქნება უზრუნველყოფის გამოსათვლელად.

4. უზრუნველყოფის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები.

5. განახლებული უზრუნველყოფა წარმოდგენილი უნდა იყოს, წინა უზრუნველყოფის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე. ახალი უზრუნველყოფის მოქმედება უნდა იწყებოდეს არაუგვიანეს წინა უზრუნველყოფის ვადის გასვლის შემდეგ დღეს.

6. იმ შემთხვევაში თუ მოვაჭრე ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ რამდენიმე სახეობის პროდუქტების ორგანიზებას, მოვაჭრე ვალდებულია წარმოადგინოს ყველაზე მაღალი ოდენობის შესაბამისი უზრუნველყოფა.

7. მოვაჭრე ვალდებულია შეაფასოს მისი უზრუნველყოფის შესაბამისობა და საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს მისი ოდენობა.

8. ტუროპერატორს შეუძლია დააზღვიოს თითოეული პაკეტი, რომელიც დაფარავს თითოეულ პაკეტს ინდივიდუალურად, შესაბამისი, რისკების ოდენობით. თითოეული პაკეტის დაზღვევის შემთხვევაში ვალდებულების უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხა, განისაზღვრება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 30. ვალდებულების უზრუნველყოფის გამოყენება

1. იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრის გადახდისუუნარობის გამო ვერ სრულდება პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მოვაჭრე ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სსიპ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და ტურისტს, რომელსაც შეძენილი აქვს ტურისტული პაკეტი ან კომბინირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

2. მოვაჭრის მიმართ "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონით მიმდინარე საქმე, არ ზღუდავს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებას ამ თავით გათვალისწინებული უზრუნველყოფის გამოყენებაზე.

3. გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გამოყენებაზე მიიღება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. უზრუნველყოფის გამოყენებისთვის სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია:

ა) განსაზღვრავს ტურისტების მიერ ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის პერიოდს, რომელიც არ უნდა იყოს 14 დღეზე ნაკლები.
ბ) აგროვებს ტურისტების მოთხოვნებს უზრუნველყოფის გამოყენებაზე, ამოწმებს დროულად წარდგენილი მოთხოვნების საფუძვლიანობას, და თუ, შესაძლებელია ტურისტს თავაზობს პაკეტის გაგრძელებას.

გ) უზრუნველყოფს ამ კანონის 28-ე მუხლის 1 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და უსაზღვრავს უზრუნველყოფის გამცემს გონივრულ დროს უზრუნველყოფის თანხის/ების გადახდებისთვის.

4. სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დგინდება გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის გამოყენების წესი და პროცედურები;

მუხლი 31. ტურაგენტის სპეციფიკური ვალდებულებები

ამ კანონის 22-30-ე მუხლები ასევე, ვრცელდება ტურაგენტზე, რომელიც ჰყიდის საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებს გარეთ დაფუძნებული ტუროპერატორის მიერ შექმნილ პაკეტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტურაგენტი უზრუნველყოფს მტკიცებულებას, რომ შესაბამისი ტუროპერატორი ასრულებს აღნიშნული მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თავი VII. მაღალი რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობის განხორციელება

მუხლი 32. მაღალი რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობა

1. მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების წესი დგინდება ამ კანონით და ტექნიკური რეგლამენტით.

3. მაღალი რისკის ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 33. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის, საქმიანობის განხორციელება

1. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის, საქმიანობა ხორციელდება ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

2. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის საქმიანობის სფერო და კომპეტენციები დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

3. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი პერსონალის სერტიფიკატის მქონე პირების მიერ.

4. პერსონალის სერტიფიცირებას ახორციელებს სსიპ აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული იურიდიული პირი (აკრედიტირებული პირი).

5. აკრედიტირებული პირი აწარმოებს სერტიფიცირებული პირების რეესტრს და გასცემს სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის მაიდენტიფიცირებელ ნიშანს, რომლის ფორმას ამტკიცებს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

6. აკრედიტირებული პირი ვალდებულია პირის სერტიფიცირებიდან ან/და სერტიფიკატის გაუქმებიდან 2 დღეში აცნობოს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.

7. აკრედიტებული პირი ვალდებულია მართოს საკუთარი ვებ-გვერდი, რომელზედაც გამოაქვეყნებს სერტიფიცირებული პირების რეესტრს.

8. აკრედიტებული პირი უზრუნველყოფს სერტიფიცირებული პირების მიერ სერტიფიცირებისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენას და შესაბამისი ზომების მიღებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ფლობდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 34. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის, ალპური გამყოლის ვალდებულებები

1. სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი ვალდებულია:

ა) დაიცვას სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის პროფესიის სტანდარტები;

ბ) საქმიანობის განხორციელების დროს თან იქონიოს მიადენტიფიცირებელი ნიშანი, რომელსაც გასცემს აკრედიტირებული პირი.

2. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის ტერიტორიული კომპეტენციები (მათ შორის გზები და რელიეფები, სიმაღლე ზღვის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვა), სადაც შეიძლება თითოეული მათგანის საქმიანობის განხორციელება, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ ტექნიკური რეგლამენტით.

თავი VIII
ტურისტული გიდის საქმიანობის რეგულირება

მუხლი 35. ტურისტული გიდი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული გიდის მომსახურება შესაძლებელია განხორციელდეს ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ტურისტული გიდი ვალდებულია დარეგისტრირდეს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

3. ტურისტული გიდის სერტიფიცირებას ახორციელებს სსიპ აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული იურიდიული პირი (აკრედიტირებული პირი).

მუხლი 36. ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშანი

1. ტურისტული გიდის ოფიციალურ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს გასცემს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სსიპ აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული იურიდიული პირის (აკრედიტირებული პირი) ჩართულობით.
2. ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესსა და პირობებს, ნიშნის ფორმას ადგენს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
3. ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მფლობელი პირი თავისუფლდება სახელმწიფო მუზეუმებსა და დაცულ ტერიტორიებზე შესვლისათვის დაწესებული გადასახდელისაგან.
4. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ტურისტული გიდის ოფიციალური მიადენტიფიცირებელი ნიშნის მფლობელი პირებისათვის დააწესოს სხვა სახის წამახალისებელი შეღავათები.

თავი IX
დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებები

მუხლი 37. ამ თავის არსი და მოქმედების სფერო

1. ამ თავის მიზანია, ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მიაღწიოს მომხმარებლების მაღალ დონეზე დაცვას, თაიმშერისა და გრძელვადიანი დასვენების პროდუქტების, ასევე გაცვლის ხელშეკრულებების ბაზარზე გატანის, გაყიდვისა და გადაყიდვის ზოგიერთ ასპექტთან მიმართებით.

2. ეს თავი ეხება გარიგეგებს მოვაჭრესა და მოხმარებელს შორის. ეს თავი არ ზღუდავს საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც :

ა) ითვალისწინებს სახელშეკრულებო სამართალში განსაზღვრულ სამართლებრივი დაცვის ზოგად საშუალებებს;

ბ) უკავშირდება უძრავი ან მოძრავი ქონების რეგისტრაციასა და უძრავი ქონების გადაცემას;

გ) უკავშირდება დაფუძნების ან ავტორიზაციის რეჟიმების პირობებს ან ლიცენზირების მოთხოვნებს და

დ) უკავშირდება იმ უფლებების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრას, რომლებიც ამ თავით რეგულირებული ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენდეს.

3. ტურისტს არ ააქვს უფლება თქვას უარი ამ თავით მინიჭებულ უფლებებზე.

მუხლი 38. დროის განაწილების ხელშეკრულება

დროის განაწილების ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთზე მეტი წლით და რომლის თანახმადაც მომხმარებელი, საფასურის გადახდის სანაცვლოდ, იღებს უფლებას, განთავსების საშუალება გამოიყენოს ერთი ან მეტი ღამით ერთზე მეტი სარგებლობის პერიოდით.

მუხლი 39. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება

გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს და რომლის თანახმადაც მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ, იძენს ფასდაკლების ან სხვა შეღავათების მიღების უფლებას განთავსების საშუალებასთან დაკავშირებით, ცალკე ან ტურისტულ ან სხვა მომსახურებებთან ერთად.

მუხლი 40. გადაყიდვის ხელშეკრულება

გადაყიდვის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოვაჭრე საფასურის სანაცვლოდ ეხმარება მომხმარებელს დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტის ყიდვა-გაყიდვაში.

მუხლი 41. გადაცვლის ხელშეკრულება

გადაცვლის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ უერთდება გადაცვლის სისტემას, რაც მას უფლებას აძლევს, ხელი მიუწვდებოდეს განთავსების საშუალებაზე ან სხვა მომსახურებებზე, სანაცვლოდ, იგი სხვა პირებს გადასცემს დროებითი წვდომის უფლებას მომხმარებლის ამავე დროის განაწილების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებებით მიღებულ შეღავათებზე.

მუხლი 42. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

1. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებელს გარკვევით და სრულყოფილად უნდა მიაწოდოს ზუსტი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია მათ შორის ქცევის კოდექსის შესახებ, სტანდარტული ფორმების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით..

2. პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მოვაჭრემ უნდა მიაწოდოს უფასოდ, ქაღალზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე, რომელიც მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

3. მოვაჭრეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პუნქტში 1 მითითებული ინფორმაცია შედგენილი იქნეს იმ წევრი სახელმწიფოს ერთ ან ერთზე მეტ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც არის ის, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, თუ ეს ენა ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.

მუხლი 43. რეკლამის წესები

1. ხელშეკრულების რეკლამა უნდა იძლეოდეს წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და ადგილს, სადაც შეიძლება მისი მიღება.

2. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს პირადად სთავაზობენ დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებას სარეკლამო

ღონისძიების ან ფასდაკლების აქციის ფარგლებში, მოვაჭრემ გარკვევით უნდა მიუთითოს კომერციული მიზნისა და აქციის ხასიათის შესახებ.
3. დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტი არ შეიძლება იქნეს რეკლამირებული, როგორც ინვესტიცია.
4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

მუხლი 44. დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულების პირობები

1. ხელშეკრულება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, ქაღალდის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე იმ წევრი სახელმწიფოს ერთ ან ერთზე მეტ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც არის ის, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, თუ ეს ენა ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.

2. ამ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით ან, თუ ცვლილებები გამოწვეულია გაუთვალისწინებელი გარემოებებით, რომლებიც მოვაჭრის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია. ხელშეკრულება გარკვევით უნდა მიუთითებდეს ამგვარი ცვლილებების შესახებ.

3. აღნიშნული ცვლილებების შესახებ მომხმარებელს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების დადებამდე.

4. ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს:

ა) მხარეთა ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს, ხელმოწერას და

ბ) ხელშეკრულების დადების თარიღსა და ადგილს.

5. ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა აცნობოს მისი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ, 45-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ხანგრძლივობასა და 48-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის გასვლამდე წინასწარი გადახდის აკრძალვაზე.

6. ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს მომხმარებელმა ხელი უნდა მოაწეროს ცალ-ცალკე.

7. ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებიდან გასვლის ცალკე სტანდარტულ ფორმას, რომელიც განისაზღვრება 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ემსახურება 45-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების

გამარტივებას. ცალკე სტანდარტული ფორმა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

8. მომხმარებელს ხელშეკრულების გაფორმებისას გადაეცემა სათანადოდ დამოწმებული (ხელმოწერილი) ხელშეკრულების 1 ეგზემპლარი.

9. დროის წილობრივი განაწილების და გრძელვადიანი ხელშეკრულების ვადის გამოთვლისას, ხელშეკრულების ავტომატური განახლების ან გახანგრძლივების პირობა უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მუხლი 45. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

1. მომხმარებელს აქვს უფლებს გავიდეს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან 14 კალენდარული დღეში ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე.

2. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა გამოითვლება:

ა) ხელშეკრულების დადების დღიდან; ან

ბ) იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი მიიღებს ხელშეკრულებას, თუ ეს დღე დგება ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ თარიღზე გვიან.

3. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა იწურება:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან ერთი წლისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, როდესაც მოვაჭრეს შევსებული არ აქვს და მომხმარებლისთვის წერილობით გადაცემული არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა 44-ე მუხლის 5-7 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან სამი თვისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, თუ 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, სტანდარტული საინფორმაციო ფორმით მომხმარებლისთვის მიწოდებული არ არის წერილობით.

4. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელიც მოთხოვნილია 42-ე მუხლით, მოვაჭრემ შეავსო ქაღალდის ფურცელზე ან სხვა ხანგრძლივი მატარებლის გამოყენებით და გადასცა მომხმარებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაიწყება მომხმარებლის მიერ აღნიშნული ფორმის მიღების დღიდან.

5. თუ ინფორმაცია, რომელზეც მითითებულია 42-ე მუხლში, მათ შორის, სტანდარტული საინფორმაციო ფორმა, მომხმარებელს გადაეცა ქაღალდის ფურცლის ან სხვა ხანგამძლე მატარებლის გამოყენებით ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან სამი თვის

განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაიწყება მომხმარებლის მიერ ამგვარი ინფორმაციის მიღების დღიდან.

6. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლის და დროის განაწილების ხელშეკრულებას მომხმარებელს სთავაზობენ ერთდროულად, ორივე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის მხოლოდ ერთი ვადა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ორივე ხელშეკრულებისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა უნდა გამოითვალოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მიხედვით.

7. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი განიზრახავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, მან ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე მოვაჭრეს უნდა აცნობოს წერილობით ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილების შესახებ. მომხმარებელს შეუძლია, გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელსაც უზრუნველყოფს მოვაჭრე 42-ე მუხლის შესაბამისად. ბოლო ვადა დაცულია იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება გაიგზავნება ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 46. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

1. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებით წყდება მხარეების ვალდებულება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს რაიმე სახის ხარჯი, გადასახადი იმ მომსახურებისთვის, რომელიც შესაძლოა გაწეული ყოფილიყო ხელშეკრულებიდან გასვლამდე.

მუხლი 47. წინასწარი გადახდის აკრძალვა

1. იკრძალება დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენებისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, თანხის ანგარიშზე განთავსება, ვალის აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობა მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის დასრულებამდე.

2. იკრძალება გადაყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, თანხის ანგარიშზე განთავსება, ვალის აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობა მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ რეალური გაყიდვის დაწყებამდე ან გადაყიდვის ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტამდე.

მუხლი 48. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

1. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებების შემთხვევაში, გადახდა სრულდება გადახდის გრაფიკის მიხედვით. აკრძალულია ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურის ნებისმიერი სახით გადახდა, რომელიც განსხვავდება გადახდის გრაფიკისგან. გადახდები,

საწევრო შენატანის ჩათვლით, უნდა დაიყოს ყოველწლიურ, თანაბარ შენატანებად. მოვაჭრემ უნდა გაგზავნოს წერილობითი მოთხოვნა გადახდასთან დაკავშირებით გადახდის ყოველ თარიღამდე მინიმუმ 14 კალენდარული დღით ადრე. მოთხოვნა უნდა შესრულდეს წერილობით.

2. მეორე მიმდინარე შენატანის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება დაჯარიმების გარეშე, რისთვისაც მან ყოველი შენატანის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მოვაჭრეს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება. აღნიშნული უფლება გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია არსებულ ეროვნულ კანონმდებლობაში.

მუხლი 49. დამხმარე ხელშეკრულების შეწყვეტა

1. თუ, მომხმარებელი იყენებს დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ნებისმიერი სხვა დამხმარე ხელშეკრულება ავტომატურად უნდა შეწყდეს ისე, რომ მომხმარებელს არ დაეკისროს რაიმე სახის ხარჯი.

2. თუ, მოვაჭრემ გადაიხადა საფასური სრულად ან ნაწილობრივ ან მესამე მხარემ, მომხმარებლისთვის მიცემული კრედიტის მეშვეობით, მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის შეთანხმების საფუძველზე, საკრედიტო შეთანხმება უნდა შეწყდეს მომხმარებლისთვის ნებისმიერი სახის ხარჯის დაკისრების გარეშე, თუ მომხმარებელი გამოიყენებს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.

მუხლი 50. დროის განაწილებისრეგისტრაცია საჯარო რეესტრში

1. სავალდებულოა დროის განაწილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.
2. განთავსების საშუალების მესაკუთრის ცვლილება არ იწვევს რეგისტრირებული დროის განაწილების ხელშეკრულების შეწყვეტას.

თავი X. ტურიზმის კანონმდებლობის აღსრულება

მუხლი 51. კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი

ამ კანონის აღსრულების ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხორციელდება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ.

მუხლი 52. პასუხისმგებლობა ტურიზმის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სამარეთალდაღვევთა ოქმს ადგენს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილი თანამშრომელი.

2. სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის საქმიანობა პერსონალის სერტიფიკატისა და/ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისის ფლობის გარეშე

გამოიწვევს დაჯარიმებას 500- დან 1000 ლარამდე ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 -დან 2000 ლარამდე ოდენობით.

4. ტურისტული გიდისა და სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის მიერ საქმიანობის განხორციელება საიდენტიფიკაციო მოწმობის ტარების გარეშე,

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარამდე ოდენობით.

5. მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევით და/ან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ფლობის გარეშე.

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 -დან 1500 ლარამდე ოდენობით;

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1600-დან 3000 ლარამდე ოდენობით;

7. ტურ ოპერატორების და კომბინირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფის გარეშე -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

8. ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის გარეშე -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

9. ტურიზმის სფეროში კანონის აღსრულების ზედამხედველობის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

10. სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვიდ ამ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

11. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობა ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სტატუსის მინიჭების გარეშე,

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

12. საქართველოში შემოსული ვიზიტორის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან სავალდებულო დაზღვევის წესის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

13. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

თავი XI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 53. გარდამავალი დებულებები

1) საქართველოს მთავრობამ:

ა) 2024 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს „აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების პრინციპები, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მინიჭების/გაუქმება წესი და პროცედურები.“

ბ) 2024 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს „მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების სია“; „მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების ტექნიკური რეგლამენტი“; „სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის საქმიანობის სფერო, კომპეტენციები, ტერიტორიული კომპეტენციები (მათ შორის გზები და რელიეფები, სიმაღლე ზღვის დონიდან, დაქანება, ექსპოზიცია და სხვა) რეგლამენტი“;

გ) 2024 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს „სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესისა და პირობების“ და „მაღალი რისკის ტურისტული მომსახურებების სავალდებულო დაზღვევის წესის და პირობების „ შესახებ;

დ) 2024 წლის პირველ ივნისამდე „საქართველოში შემომსვლელ ვიზიტორთა ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

ე) 2024 წლის პირველ ივნისამდე უზრუნველყოს „საკურორტო საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.
ვ) 2026 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს ამ კანონის მე V თავით განსაზღვრული სტანდარტული ფორმები.

ზ) 2026 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს ამ კანონის მე IX თავით განსაზღვრული სტანდარტული ფორმები.

2) სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დაამტკიცოს:

ა) 2027 წლის 1 მაისამდე დაამტკიცოს „აკრედიტებული პირის მიერ სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლის და ალპური გამყოლის სერტიფიცირების რეესტრის წარმოების წესი და რეესტრის ფორმა“;

ბ) 2024 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს „სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ფორმა“;

გ) 2024 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს „ტურისტული დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესი“;

დ) 2027 წლის პირველ ივნისამდე დაამტკიცოს „ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი მოწმობის ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესი და პირობები, მოწმობის ნიშნის ფორმა.“

3) 2027 წლის პირველ ივნისამდე საქართველოს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დაამტკიცოს:

ა) „ტურისტულ პაკეტების და კომბინირებული ტურისტული მომსახურებებით გაყიდული მთლიანი შემოსავლების შესახებ ანგარიშის ფორმა“;
ბ) გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის გამოყენების წესი და პროცედურები;

გ) „ტურ ოპერატორისა და კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მონაწილის გადახდისუუნარობისაგან დაცვის სერტიფიკატის ფორმა“.
დ) დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობის წესი და სტანდარტი.

მუხლი 54. დასკვნითი დებულებები

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ 1996 წლის 6 მარტის კანონი საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №13-14 (45-46/13), 12 აპრილი, 1997, გვ. 3).

2. ეს კანონი , გარდა ამ კანონის მე-12 – 34, 35-50 და 52-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყებისთანავე.

3. ამ კანონის 32-34 და 52-ე მუხლები ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

4. ამ კანონის მე-12-31, 37-50 მუხლები ამოქმედდეს 2026 წლის პირველი ივნისიდან.

5. ამ კანონის 35-36 მუხლები ამოქმედდეს 2027 წლის პირველი ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*